PX 4469/1





მხოლოდ პირველ ეტაპად ვთვლით. ჩვენი წარმატება 15 ნოემბრის არჩევნებზე ამ გეგმის წარმატება იქნება, ხოლო ჩვენი წარუმატებლობა- ამ გეგმის წარუმატებლობა. იქ, სადაც ჩვენი კანდიდატები საკრებულოს უმ-





რავლესობას შეადგენენ, მოქალაქეთა ცხოვრების დონე, სულ ცოტა, 30-40 პროცენტით მეტი იქნება, ვიდრე მათ გარეშე. იქ, სადაც ეს არ მოხდება, მოსახლეობა თვითონ დაინახავს თავისი არჩევანის შედეგებს.

მიეცით ხმა ბლოკს "საქართველო"-მერაბ კოსტავას საზოგადოება

ნოდარ ნათაძე

თამარ ჩხეიძე

ვაჟა ადამია

## ვისაც გინდათ საქართველოს გადარჩენა, მისი მიწა-წყლის, ღირსებისა და კეთილდღეობის დაცვა მიეცით ხმა ბლოკს

## "საქართველო"- მერაბ კოსტავას საზოგადოება




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სახელმწიფოს გადარჩენა

## აირჩიეთ ერთადერთი ეროვნული ბლოკი




"საქართველო"- მერაბ კოსტავას საზოგადოება

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
მერაბ კოსტავას საზოგადოება
ღვთისშვილთა კავშირი

## ეროვნულ ძალთა გამარჯვებაშია

n 159/1543

1568

# საქართველოს ამომრჩევლებს

ყველანი ვხედავთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება შეგნებულად ატარებს საქართველოს ეკონომიკური, სტრატეგიული და ფსიქოლოგიური ნგრევის პოლიტიკას. საგარეო ვალმა მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ყოველ სულ მოსახლეს, ახალშობილის ჩათვლით, უკვე 600 დოლარი ვალი აქვს. ეს ვალი მზარდი ტემპით მატულობს. იყიდება ყველაფერი: საქართველოს უძრავ-მოძრავი ქონება, მისი ტერიტორია, წიაღი, ტყე და მიწა. ამ დამანგრეველ პოლიტიკას ორი წყარო აქვს: ერთია რუსეთის შეკვეთა, რომელსაც საქართველოს გამოფიტვა და კიდევ ერთხელ ხელში ჩაგდება უნდა. მეორე და გადამწყვეტია საკუთრივ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა. რაც შეეხება დანარჩენ მსოფლიოს გულგრილობა, რადგან დამოუკიდებელ და ანგარიშგასაწევ ქვეყნად ჩვენ არავინ ჩაგვთვლის მანამ, სანამ, "ქენგეში" ვართ და ჩვენს ტერიტორიაზე რუსეთის ჯარი დგას. ხელისუფლება შეგნებულად იყენებს ქვეყნის გაჭირვებას, რათა საქართველოს და მისი ხალხის საკუთრება ვალუტად აქციოს და საზღვარგარეთის ბანკებში გადაინახოს.


ტრისტან ბერიანიძე გოგი სორდია შოთა ნადირაშვილი

ხროვამ, რომელიც რამდენიმე ათეულ ათას კაცს ითვლის, უკვე გაზიდა ათობით მილიარდი დოლარი და განაგრძობს საქართველოს ძარცვას მზარდი ტემპით. პროცესი არ შეჩერდება, სანამ ქვეყნის სათავეში დღევანდელი ხელისუფლება დგას. ყოფილ ცეკ-ას მდივანთა და რაიკომის ინსტრუქტორთა ეს გუნდი არც თვლის საქართველოს თავის ქვეყნად: მათთვის ეს არის მხოლოდ ტერიტორია, სადაც სიმდიდრე უნდა იშოვონ და შემდეგ თავს უშველონ.

საქართველოს ეკონომიკური გასაჭირი მთლიანად ამ დანაშაულებრივი ჯგუფის ბრალია. კურსის შემობრუნება და, მაშასადამე, ქვეყნის ბედის შემობრუნება შეუძლებელია დღევანდელი ორგული და კორუმპირებული გუნდის შეცვლის გარეშე. ამისათვის **ყველაზე ადვილი და უმსხვერპლო გზა** არის ამ ადამიანებისათვის უნდობლობის გამოცხადება მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე. მაგრამ მანამდე 15 ნოემბრის ადგილობრივი არჩევნების გზით ჩვენ შეგვიძლია **შევაფერხოთ**


ნიკოლოზ მჭედლიშვილი


თემურ საჯაია

სახელმწიფოს ძარცვის პროცესი და ხალხს ამოსუნთქვის საშუალება მივცეთ. გვახსოვდეს: **საკრებულოებს, რომლებსაც ახლა ვირჩევთ, ხელთ აქვთ ადგილობრივი ბიუჯეტის და რაიონის/ქალაქის/მუნიციპალური საკუთრების კონტროლი**, მაშასადამე, მათ შეუძლიათ გადაკეტონ მოსახლეობის ძარცვის არაერთი არხი. ამასთან ერთად, მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად განკარგონ ადგილობრივი ეკონომიკური საშუალებები, რათა ზღვარი დაუდონ სახელმწიფო აპარატთან შეზრდილი მაფიების მონოპოლიას; სახელდობრ ნავთობპროდუქტების, ელექტროენერგიის, მარცვლეულისა და პურპროდუქტების, კომუნალურ და სხვა ადგილობრივ


არტემ (ვაჟა) დალაქიშვილი

მეურნეობასთან დაკავშირებულ[illegible] მაფიებისა. ამ ღონისძიებათა [illegible] შეიძლება როგორც თბილისსა და სხვა ქალაქებში, ასევე რაიონებში, და ამის მისაღწევად აუცილებელია საკრებულოების უმრავლესობაში პატიოსანი და პრინციპული ადამიანის ყოფნა. მმართველ ჯგუფსა და პარტიას ასეთი ადამიანები არ ჰყავს და ვერ ეყოლება /რადგან ანტიეროვნული კურსის გამტარებელ მთავრობაში არც ერთი ადამიანი არ მივა სხვაგვარად თუ არ ანგარებიანი მიზნით/, ასეთი ადამიანები არიან მხოლოდ ეროვნულ და, მაშასადამე, დემოკრატიული მიმართულების პარტიებში და მოქალაქეთა იმ მასაში, რომელიც ჯერჯერობით პოლიტიკის გარეთ დგას. ამ ადამიანთა გამარჯვების და, მაშასადამე, საქართველოს გადარჩენის მხოლოდ ერთი გზა არსებობს: ესაა ამ ადამიანთა და პარტიათა ერთობლივი შეწყობილი მოქმედება არჩევნებშიც და არჩევნების გარეთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებშიც, რათა ქვეყანამ თავისი შინაგანი მტრის კანონიერი და მშვიდობიანი გზით დამარცხება შეძლოს.


ავთანდილ კუჭავა


ნიკო ჯავახიძე

ამ მიზანს და **მხოლოდ** ამ მიზანს ემსახურება საარჩევნო ბლოკი **"საქართველო"-მერაბ კოსტავას საზოგადოება"**, რომელიც მოიცავს საქართველოს გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას, ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას, ღვთისშვილთა კავშირს და მერაბ კოსტავას საზოგადოებას. ჩვენი განზრახვაა ეროვნული, და მაშასადამე, დემოკრატიული მიმართულების ყველა ძალთა ერთიანობის ორგანიზება და ჩვენს ამჟამინდელ ბლოკს ამ მიზნის მიღწევის